დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ სვანიძის სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ,,ფაკულტეტი“) მიხეილ სვანიძის სახელობის სტიპენდია (შედგომში - ,,სტიპენდია“) ენიჭება უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალობის ბაკალავრიატის ერთ სტუდენტს.

2. ერთი და იმავე პირს სტიპენდია შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ერთხელ.

3. სტიპენდიის დაწესების მიზანია ბაკალავრიატის აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტთა წახალისება.

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები

1. სტიპენდია გაიცემა წინა კალენდარული სასწავლო წლის შედეგების გათვალისწინებით. სტიპენდია კონკურსის გზით გადაეცემა იმ სტუდენტს, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული მიღწევებით აკადემიურ და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის სამეცნიერო შესწავლის სფეროში.

2. **სტიპენდია არ გაიცემა:**

ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სასწავლო წლის სტუდენტზე;

ბ) დამატებითი სემესტრის სტუდენტზე;

გ) დასაფინანსებელ წელს მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;

დ) წინა კალენდარულ სემესტრში სტატუსშეჩერებულ სტუდენტზე;

ე) დასაფინანსებელ წელს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გაუცემელი თანხის სხვა სტუდენტისთვის სტიპენდიის სახით დანიშვნის თაობაზე;

მუხლი 3. სტიპენდიატის შერჩევის წესი

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია.

2. სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდება აკადემიური მოსწრებით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა სასწავლო კურსებში მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით (GPA- არანაკლებ 3.5-ისა).

3. 3.5 GPA-ის მქონე საუკეთესო აკადემიური მოსწრების კანდიდატების არსებობის შემთხვევაში, კომისიის მიერ სტიპენდიატის შერჩევა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) ახლო აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლის სფეროდან სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება (გამოქვეყნებული/დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომები).

ბ)სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

გ)უნივერსიტეტის გაცვლით და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ , ,,ბ“ და ,,გ” ქვეპუნქტებთან შესაბამისობისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე დასკვნას ამზადებს კომისია.

5.სტიპენდია ინიშნება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

6.სტიპენდია გაიცემა 10 თვის განმავლობაში, თვეში 250 ლარი (საშემოსავლოს ჩათვლით), გაეროს განვითარების პროგრამის იემენის ოფისის დირექტორის მოადგილის, ვახტანგ სვანიძის შემოწირულობით.

7.სტიპენდიისათვის განკუთვნილი თანხა სრულად ერიცხება უნივერსიტეტს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადება და სტიპენდიანტებისათვის შესაბამისი ოდენობის სტიპენდიის ყოველთვიური ჩარიცხვა.